სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-33

გორი 28 05 2018წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (28.05.2018. N631884) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018 – 2024 წწ.

- *სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა:*

სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე, მათ შორის ევროპულ განათლებასთან ჰარმონიზაციაზე. უნივერსიტეტის საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტრატეგიული ეკონომიკური განვითარების პირობებში წარმატებული სპეციალისტების მომზადებასა და მათ ინტეგრირებას კონკურენტულ შრომით ბაზარზე.

- *ღირებულებები:*

დემოკრატიულობა;
განვითარებაზე ორიენტირებულობა;
კეთილსინდისიერება;
აკადემიური თავისუფლება;
გამჭვირვალობა და ღიაობა.

- *ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ*

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განათლებისა და მეცნიერების მძლავრი კერაა შიდა ქართლში, რომელიც ორი უმაღლესი სასწავლებლის - სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ-ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა (საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს #176 დადგენილება).

გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომელთა სამართალ მემკვიდრეც ამჟამად გორის უნივერსიტეტია, მდიდარი და ღრმა ისტორიული წარსული აქვთ. გორში ჯერ კიდევ 1876 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ღვაწლმოსილი პედაგოგი აღუზარდა სამშობლოს. მათ შორის არაერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა: ვაჟა-ფშაველა, მიხეილ წინამძღვრიშვილი, ია კარგარეთელი და სხვ.

1935 წლის აგვისტოში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1939 წელს გადაკეთდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად ოთხწლიანი სწავლებით. ინსტიტუტმა მიიღო დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელი. 1985 წელს მოხდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ინსტიტუტს ეწოდა გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი, 1997 წლიდან კი - გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. 1999 წლის 16 ივლისს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1932 წელს დაარსდა, სადაც მხოლოდ ერთი _ აგრობიოლოგიის ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. მომდევნო წლებში მას ახალი ფაკულტეტები დაემატა. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი წარმოადგენდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრს. ჩამოყალიბების დღიდან ეს სასწავლო კერა ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებულ მხარდაჭერას გრძნობდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ, 1991 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ქ. გორში განაგრძო ფუნქციონირება. მიუხედავად მწირი მატერიალური ბაზისა, ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და მაღალკვალიფიციური კადრებით შეინარჩუნა სწავლების ხარისხი. 2000 წლის 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა.

აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა პერიოდში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ისეთი დიდი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: გ. ახვლედიანი, ე. მეტრეველი, ა. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე, გ. ჟორდანია, ზ. სარჯველაძე, ს. გაჩეჩილაძე, ს. ხუციშვილი, ვ. თოფურია, ს. მაკალათია, გ. მერკვილაძე, დ. თევზაძედასხვ.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის N458 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად - გორის სასწავლო უნივერსიტეტად.

სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დაგენილება #09-90 19.06.2012 მიხედვით, უნივერსიტეტის სახელწოდება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი".

➢ *მისია:*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

მისიის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს;
- უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნასა და განვითარებას;
- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული

განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;

- უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (უწყვეტი განათლების) სისტემას საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო, სასერთიფიკატო და სხვ. პროგრამების შეთავაზებითა და განხორციელებით;
- მხარს უჭერს და განამტკიცებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ინიციატივებს უნივერსიტეტის ერთობლივ მართვასთან დაკავშირებით;
- ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მობილობას.

➢ *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*

სასწავლო უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება *ე.წ. SWOT -ანალიზის* მეთოდით და უზრუნველყოფს:

ა) სამომავლო პრიორიტეტებისა და სასურველი, მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;
ბ) პროგრესის მიღწევისთვის კონკრეტული საფუძვლების შექმნას;
გ) დაინტერესებულ პირთა ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და მათი ხედვებისა და ინტერესების გათვალისწინებას;
დ) ხელს უწყობს დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას.

➢ *სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა*

სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება თანამშრომლობით ფორმატში. გარდა სამუშაო ჯგუფის წევრების მონაწილეობისა, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტრატეგიის ფორმირებისას სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის, აგრეთვე სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებას, სათანადო მეთოდოლოგიით დაგეგმილი და განხორციელებული გამოკითხვების, შეხვედრების, სხვადასხვა დროს მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის სახით.

➢ *სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა*

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია:

- სასწავლო უნივერსიტეტის მისია და ხედვა - სრულყოფილი განაცხადი სასწავლო

უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის შესახებ;

- ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ - დაწესებულების მოკლე ისტორია და წარსული გამოცდილების მიმოხილვა, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია;
- SWOT -ანალიზი-სასწავლო უნივერსიტეტის შეფასება (მისი ძლიერი მხარეები და მიღწევები, ასევე, სუსტი მხარეების პრაქტიკული შეფასება, განვითარების შესაძლებლობების მიმოხილვა და განხორციელების რისკების შეფასება)
- სტრატეგიული მიზნები - სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული, დაგეგმილ ვადაზე გათვლილი მიზნების შესახებ განაცხადი, კონკრეტული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანების ჩამონათვალი;
- ამოცანები - სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ღონისძიებები;

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას უნდა დაერთოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (3 წლიანი), კონკრეტული აქტივობების, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და განხორციელების ვადების მითითებით.

- *სტრატეგიული გეგმის დამტკიცება*

  სტრატეგიული გეგმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

- *შესრულების მონიტორინგის ეტაპი*

  შესრულების მონიტორინგის ეტაპი გულისხმობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამ მიზნით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, დადგენილი განრიგით.

SWOT ანალიზი

Strenghts - ძლიერი მხარეები	Weakneses - სუსტი მხარეები
▪ საგანმანათლებლო სივრცეში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და დადებითი რეპუტაცია; ▪ განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა; ▪ განვითარებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორები, უნიკალური წიგნადი ფონდი და უსაფრთხო გარემო; ▪ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისა და გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება.	▪ ფინანსური რესურსების სიმცირე; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შედგენასა და განვითარებაში დამსაქმებლების სუსტი ჩართულობა; ▪ უცხოენოვანი პროგრამების სიმცირე; ▪ ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის სიმცირე; ▪ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების სიმცირე
Opportunities - შესაძლებლობები	**Threats - საფრთხეები**
▪ მარკეტინგული და პიარ-ქტივობების მეშვეობით ცნობადობის გაზრდა; ▪ საერთაშორისო კავშირების გამყარება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა; ▪ სტუდენტური სერვისების განვითარება; ▪ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა; ▪ სტუდენტური თვითმმართველობის პროექტების რეალიზება; ▪ მატერიალური ბაზის სრულყოფა; ▪ სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა საერთო საცხოვრებლის ამოქმედება; ▪ სპორტული მოედნების მოწყობა;	▪ განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია; ▪ დაფინანსების არსებული მოდელი ▪ სწრაფადცვალებადი სამართლებრივი გარემო; ▪ საოკუპაციო ხაზთან სიახლოვე; ▪ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ფონი.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შემუშავდა უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და საზოგადოების წარმომადგენლების თანამონაწილეობით. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი იქნება მომავალი შვიდი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის განვითარების და გაძლიერების სტრატეგიული ხედვების ჩარჩო სტრატეგია.

შვიდწლიანი გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის განვითარებასა და შემდგომ სრულყოფას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **ინსტიტუციური განვითარება**
- **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**
- **პერსონალი**
- **სტუდენტები და სტუდენტური სერვისები**
- **კვლევა, განვითარება და სხვ.შემოქმედებითი საქმიანობა**
- **ფინანსური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები**

სტრატეგიული მიზანი 1: ინსტიტუციური განვითარება

- ***ამოცანები:***
  - საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა
  - უწყვეტი განათლების პრინციპის განხორციელება
  - პროფესიული განათლების გამართული ადმინისტრირების უზრუნველმყოფი სტრატეგიის შემუშავება;
  - საუნივერსიტეტო კავშირების გაფართოება, საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაცია
  - სტუდენტობისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა
  - საერთაშორისო პროექტები, პროგრამები და კვლევები
    - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება, შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით შეფასება.
  - უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა
  - ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

სტრატეგიული მიზანი 2: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

➢ *ამოცანები:*

- საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების განვითარება საგანმანათლებლო სივცეში არსებული მოთხოვნების შესაბამისად;
- სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება და სრულყოფა;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები: სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას;
- საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი, მათ შორის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- შრომის ბაზრის კვლევების საფუძველზე პროფესიული, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- არსებული პროფესიული პროგრამების განვითარება;
- უწყვეტი განათლების პროგრამების განვითარება;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის გაზრდა;
- დისტანციური სწავლების მექანიზმების მომზადება და ამ კულტურის დანერგვა;

➢ სტრატეგიული მიზანი 3: პერსონალი

ამოცანები:

- **აკადემიური პერსონალის შეფასება:** აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება და პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრა;
- **მომსახურება და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა** , გაწეული მომსახურების შეფასება და სერვისების სრულყოფა;
- **აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების განხორციელება, რაც** უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ დარგში არსებულ სიახლეებისა და მიღწევების დაუფლებას, სამეცნიერო სემინარებში ჩართულობას;
- **უცხოელი პერსონალის მოზიდვა და ჩართვა** საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში;
- **პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავება,** რომელიც მოიცავს:
  - აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს და უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას;

- პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული წახალისების პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება მისი საქმიანობის შეფასებას;
- სამეცნიერო მივლინებების წესის დახვეწას.

➢ სტრატეგიული მიზანი 4: სტუდენტები და სტუდენტური სერვისები

ამოცანები:

- სტუდენტური პროექტების ინიცირება და ხელშეწყობა;
- კარიერული განვითარების სამსახურის მეშვეობით დამსაქმებელთა ქსელის გაფართოება;
- სტუდენტური თვითმმართველობის ჩართვა უნივერსიტეტის მართვაში;
- უცხოელი სტუდეტებისათვის არსებულ გარემოში ადაპტაციისათვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.

➢ სტრატეგიული მიზანი 5: კვლევა, განვითარება და სხვ. შემოქმედებითი საქმიანობა

ამოცანები:

- სამეცნიერო ფონდებში განაცხადების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის თანადაფინანსებით;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა;
- საერთაშორისო კონფერენციების ინიცირება და განხორციელება;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა;
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის დახვეწა და განხორციელება;
- სამეცნიერო ჟურნალის დაარსება;
- სტუდენტთა დარგობრივი სამეცნიერო წრეების ამოქმედება;
- სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

➢ სტრატეგიული მიზანი 6: ფინანსური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები

ამოცანები:

- **თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ფართი:** სასწავლო ფართი აღიჭურვება როგორც უშუალოდ სწავლებასთან დაკავშირებული უახლესი მატერიალური და ინფორმაციული რესურსებით (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, სპეციალური პროფესიული ინვენტარი და ა.შ.), ასევე სხვა ელემენტებითაც (სერვისები, თანამედროვე ავეჯი და ა.შ.).
- ახალი, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი **საერთო საცხოვრებლის** მოწყობა;
- საბიბლიოთეკო რესურსების გაძლიერება: პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება, სამკითხველო დარბაზების გახსნა სასწავლო კორპუსებში, ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია;
- **დასასვენებელი სივრცეები სტუდენტებისა და პერსონალისთვის:** დასასვენებელი სივრცეების მოეწყობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.
- **სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემო:** განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს სრულყოფა.